



„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ სამოქალაქო საბჭოს მიერ 2019 წელს კახეთში გამოვლენილი საჭიროებები



„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სამოქალაქო საბჭოების წევრებმა კახეთის 4 მუნიციპალიტეტის (სიღნაღი, თელავი, ყვარელი, ახმეტა) 12-მდე დასახლებაში 30-მდე ინფრასტრუქტურული პრობლემა/საჭიროება გამოავლინეს.

ჩვენი ორგანიზაციის სამოქალაქო საბჭოების წევრების მიერ გამოკითხული მოქალაქეები ისეთ საჭიროებებსა და პრობლემებს ასახელებენ, როგორცაა: სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, შიდა საუბნო და ცენტრალურ ტრასამდე დამაკავშირებელი გზების კეთილმოწყობა, სანიაღვრე არხების მოწესრიგება, საექიმო ამბულატორიების მშენებლობა, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და ა.შ.

სამოქალაქო საბჭოები ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივით შექმნილი მოქალაქეთა არაფორმალური გაერთიანებებია, რომელთა მიზანია უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობითა და ჩვენი ორგანიზაციის შუამდგომლობით მოგვარდეს მუნიციპალიტეტებში არსებული პრობლემები.

ორგანიზაცია გამოვლენილი პრობლემების შესახებ ინფორმაციას შესაბამის მუნიციპალიტეტებს ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების პროექტების დამტკიცებამდე მიანვდის, რათა უზრუნველყოთ ამ საჭიროებების მოგვარება 2020 წელს - ჩვენი სამოქალაქო საბჭოების მიერ გამოვლენილი პრობლემების დოკუმენტი მნიშვნელოვანი წყარო უნდა იყოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისთვის ამა თუ იმ დასახლებაში არსებული საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის.

ამ მიზნით წარმოგიდგინთ მოქალაქეების მიერ დასახელებული პრობლემების ჩამონათვალს:

კახეთი

ყვარელი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
<ul style="list-style-type: none"> მოწესრიგებელი ინფრასტრუქტურა 	<ul style="list-style-type: none"> ე.წ. კიროვის პარკის მოწესრიგება და პერიოდული დასუფთავება ყვარელში არსებული სკვერებისა და პარკების პერიოდული დასუფთავება

სიღნაღი, სოფელი ანაბა	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
<ul style="list-style-type: none"> ანტისანიტარია 	<ul style="list-style-type: none"> მთავარანგელოზის სახელობის მონასტრისკენ, წმინდა გიორგის ეკლესიისკენ მიმავალ გზებზე და ბაიდარაანთ უბანში სანაგვე ურნების დადგმა

თელავი, სოფელი აუშუთი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
<ul style="list-style-type: none"> მოწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა 	<ul style="list-style-type: none"> ცენტრალურ გზებამდე მისასვლელი გზების მოწესრიგება სკვერის მოწყობა გარე განათებების მოწყობა
<ul style="list-style-type: none"> კომუნალური საკითხები 	<ul style="list-style-type: none"> სასმელი წყლის სათავო ნაგებობის მოწესრიგება

თელავი, სოფელი შადაური	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
<ul style="list-style-type: none"> მოწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა 	<ul style="list-style-type: none"> შიდა გზებზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა და შესაბამისი საგზაო ნიშნების განთავსება სპორტული მოედნის მოწყობა სამოგადოებრივი თავშეყრის ადგილის აშენება
<ul style="list-style-type: none"> ანტისანიტარია 	<ul style="list-style-type: none"> შალაური-კისისხევის ნაგავსაყრელის დასუფთავება სასმელი წყლის შემკრები ნაგებობის ნაგვისგან გაწმენდა
<ul style="list-style-type: none"> კომუნალური საკითხები 	<ul style="list-style-type: none"> სასმელი წყლის სათავო ნაგებობის მოწესრიგება

თელავი, სოფელი აითანა	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
<ul style="list-style-type: none"> მოწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა 	<ul style="list-style-type: none"> ცენტრალურ გზებამდე მისასვლელი შიდა გზების მოწესრიგება სპორტული მოედნის მოწყობა ახალგაზრდული ცენტრის აშენება
<ul style="list-style-type: none"> კომუნალური საკითხები 	<ul style="list-style-type: none"> სასმელი წყლის რეგულარული მიწოდების უზრუნველყოფა

სიღნაღი, სოფელი ჰაიჩი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
<ul style="list-style-type: none"> ანტისანიტარია 	<ul style="list-style-type: none"> სანიაღვრე არხების დასუფთავება და კეთილმოწყობა
<ul style="list-style-type: none"> მოწესრიგებელი ინფრასტრუქტურა 	<ul style="list-style-type: none"> ჯანიკაშვილების, ტურიაშვილების და დემეტრაშვილების საცხოვრებელ სახლებთან გამავალი სანიაღვრე არხის მოწესრიგება ცენტრალურ გზაზე ჯანიკაშვილებისა და დემეტრაშვილების სახლის მიმდებარედ სანიაღვრე სისტემის მოწყობა

ყვარელი, სოფელი ზინოპიანი	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
<ul style="list-style-type: none"> მოწესრიგებელი ინფრასტრუქტურა 	<ul style="list-style-type: none"> ცენტრალურ გზებამდე მისასვლელი შიდა გზების მოწესრიგება სკვერის მოწყობა გარე განათებების მოწყობა საექიმო ამბულატორიის აშენება სასმელი წყლის სათავო ნაგებობის მოწესრიგება

ახმეტა, კანკისის ხეობა	
პრობლემის ტიპი	მოსახლეობის მოთხოვნა
<ul style="list-style-type: none"> მოწესრიგებელი ინფრასტრუქტურა 	<ul style="list-style-type: none"> სოფელ ომალოსა და დუმასტურთან დამაკავშირებელი სოფელ ხალანის გზის მოწესრიგება, რომელიც პრაქტიკულად გაუვალია სოფელ ომალოში სანიაღვრე ქსელის მოწყობა პანკისის ხეობის სოფლებში სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება. სათავო ნაგებობების მოწყობა

მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტებმა ჩვენი სამოქალაქო საბჭოების წევრების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემები დაჩქარებულად შეისწავლონ, რათა მომავალი წლის ბიუჯეტში მათი გათვალისწინება მოესწროს.